დედაენის დღისადმი მიძღვნილი კონკურსი - „ქართული კალიგრაფია“

საკონკურსო დავალება 1

ხატე ქართულად - ქართული ანბანიდან შერჩეული ასოს დახატვა

ამ დავალების შესასრულებლად კონკურსანტმა უნდა შეარჩიოს და დახატოს ქართული ანბანის რომელიმე ასო და შეეცადოს გამოავლინოს, თუ როგორ ხედავს და აღიქვამს იგი აღნიშნულ ასოს. დავალების შესრულებისას მან უნდა წარმოაჩინოს ასოთა მოხაზულობებში მოქმედი ელემენტები, ქართული ანბანის გრაფიკული სტრუქტურის თვითმყოფადობა. ანბანის ასოს ნახატი შესაძლოა შესრულდეს რაიმე მხატვრულ ფონზე, კონკურსანტის წარმოსახვის შესაბამისად. სასურველია კონკურსანტებმა გამოავლინონ ინდივიდუალიზმი, საკუთარი ხედვა, სტილი და ფანტაზია.

საკონკურსო დავალება 2

მცირე ზომის ტექსტის კალიგრაფიულად შესრულება

ამ დავალების შესასრულებლად კონკურსანტებს ვთავაზობთ შეარჩიონ და კალიგრაფიულად გადაწერონ ნაწყვეტები ერთ-ერთი ქვემოთ მოცემული ნაწარმოებიდან:

1. ირაკლი აბაშიძის „ხმა კატამონთან“;
2. მუხრან მაჭავარიანის „ენა ქართული“;

კონკურსანტს, ასევე, შეუძლია თავად შეარჩიოს და კალიგრაფიულად გადაწეროს ნაწყვეტები ქართველი კლასიკოსი მწერლების პატრიოტულ თემატიკაზე შექმნილი ნაწარმოებებიდან. დავალების ამ ნაწილის შეფასებისას გადამწყვეტია კალიგრაფიული ოსტატობა და ნაწერის ფურცელზე სწორი განაწილება.